ხუთშაბათი, 11 მაისი 1907 წ.

წელიწადი პირველი — № 100

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.

რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილებით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ"



ახლად გარდაცვალებულ ტფ. სასულ. სემინარიის მოწაფის **ვანო გუჩმაზოვის** დედა უღრმესს მადლობას უძღვნის ყველას მათ, ვინც პატივი სცეს თავიანთ მობძანებით ან დახმარებით. (1—უ—1)

ექიმი
**ვ. ხ. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ექიმი
**ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—47)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (35)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
**მიხეილ გედევანიშვილისა**
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ. სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—107)

ქ. ქუთაისში
**ექიმი დ. ვ. ფანცხავა**
იღებს საბებიო, ქალის და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 8—12 საათ. საღამოობით 5—7 საათამდე. ქარავან-სარაის ქ., სახლი ადამიასი (25—კვ—8)

ქ. ქუთაისში
**ბავშვების ექიმი ბადრიძე**
ავადმყოფებს მიიღებს დილით 9—12, საღამოთი 5—6 საათამდე, პოლიციის ქუჩა, სახლი ციციაშვილისა. (25—ფ.—16)

ექიმი
**კ. ი. გძელიშვილი**
იღებს **ყურის, ცხვირის** და **ყელის** ავადმყოფებს დილის 12—1 ს. საღამოთი 5—7 ს. ელისაბედის ქუჩა, № 7. სახლი მეწულოვისა. (25—26)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 5—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—99)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**კანისა და ვენერიული.** დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

## სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
**ტფილისში**
მუდმივის საწოლებით
(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).
მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფებისა
**მიხეილ აგაჯანოვი:** 11—12 ს. საშარდე, კანისა და სიფილისი.
**ი. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.
**გ. ა. ტატევოსოვი:** 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.
**ი. გ. ავეტიანოვი:** 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.
**მ. ვ. კიმთაძე:** 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.
**ვ. ა. ზეიერი:** 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი,
**ი. ნ. თუმანოვი:** 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა.
სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—61)

**ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის** სამართველოსთან დაარსებული კერძო კომისია ამით აცხადებს, **რომ 15 მაისს, სამშაბათს დილის 9 საათზე დანიშნულია**

## საჯარო ვაჭრობა
### ხის მასალისა

სასულიერო სასწავლებლის ეზოში, არქიელის გორაზე. მასალა შეიცავს: ლამფებს, კოჭებს, ფიცრებს, სარტყლებს, გადასაკიდებს, საძირკვლებს, კარებს, ფანჯრებს, ქესტის სახურავს და სხვა წვრიმალს. ყველა ეს მასალა არჩეული ფიჭვის ხის და წაბლისაა. მასალა გაიყიდება ერთად და ცალ-ცალკეც.

კომისიის თავმჯდომარე ტრიფონ ჯაფარიძე. (10—კვ.—2)

# 300,000
# 150,000-ად
# ახსნა 13 მაისს

(10—83—1)

**თეკლე პეტრეს ასული რცხილაძე, მარიამ დავითის ასული და ვარლამ როსტომის ძე ჯაფარიძე,** და **იროდიონ სტეფანეს ძე რცხილაძე** ღრმად შეწუხებულნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი—შვილის, მეორე—ძმის, მესამე—ცოლისძმის და მეოთხე—ბიძაშვილის

**ივანე დავითის ძის რცხილაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე, ბაიაზეთის ქუჩაზე სახლი № 4. გამოსვენება შაბათს, 12 მაისს, დილის 9 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში და შემდეგ დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2—1)

**ანასტასია ანტონის ასული, ვასილ მიხეილის ძე, მიხეილ, მარკოზ, ევპრაქსია, ელენე, როზალი, ვასილის ძენი და ასულნი სიდავები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი ორი—ძვირფასს შვილის, დანარჩენნი—ძმის

**გიორგი ვასილის ძის სიდავასას.**

დაკრძალვა 11 მაისს, საღამოს 6 საათზე. გამოსვენება კათოლიკების ქუჩა საკუთარ სახლიდან. (1—კვ.—1)

კვირას, 27 ამა მაისს.

პალერმოს ბაღში (მიხეილის ქ., იუნკრების სასწავლებლის პირდაპირ) გაიმართება

## სეირნობა და ლატარია-ალეგრი

წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ.

სეირნობის დროს გამართული იქნება სხვა და სხვა გასართობი ბავშვებისა და დიდებისათვის (ლოტო, დოლი, ანკესი და სხვა); დაუკრავს ორი ორკესტრი და საზანდარი, იმღერებს ქართული ხორო.

**საზოგადოების კანცელარიაში მიიღება შემოწირული ნივთები ალეგრისათვის.**

სეირნობის გამგენი სთხოვენ „საზოგადოების" აგენტებს, მიაწოდონ პროვინციებიდან შემოწირულებანი. (8—1)



## ყურადღება!!!

მშრომელ ქალებსა და კაცებს ყოველ დღე 8-დან 4 საათამდე შეუძლიანთ აიღონ 1 მ. 50 კ. და მეტიც დღეში, თუ ჩემგან იყიდიან საუცხოვო მსწრაფლ-მქსოვ მაშინებს, რომელთაც საზღვარ-გარედაც დიდი სახელი აქვთ გავარდნილი. ვთხოვ მხოლოდ ყველას, ნუ აურევენ ჩემ მაშინებს სხვა ფირმების მაშინებთან.

ამ მაშინაზე სამუშაოდ წინ და წინვე ცოდნა საჭირო არ არის. მაშინები აქვე გვაქვს. ძაფს მე ვყიდი და დამზადებულ საქონელს ნაღდ ფულად მევე ვყიდულობ აქ. დაწვრილებით ცნობებს სიამოვნებით ვაძლევ ყველას უფასოდ კანტორაში და ვგზავნი ფოსტითაც.

კანტორა მსწრაფლ-მქსოვ მაშინების „როსსია" ს წარმომადგენლისა კავკასიის და ამიერ-კავკასიისათვის ტფილისში მთავარ ფოსტამტის მეზობლად. ადრესი: Тифлисъ, Троицкая у., д. № 7, по сосѣдству съ главн. почт.-телегр. конторы. (50—73.—8)

## მასწავლებელ ქალთა საზოგადოება
(პუშკინის ქუჩა, № 3, საკრედიტო საზოგადოების სახლი)

**მასწავლებელი ქალები** აძლევენ გაკვეთილებს, ასწავლიან ყველა საგანს, ადგილობრივ და ტფილისს გარედ. (15—2)

## ქუთაისის ქალთა გიმნაზია.

ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ, პირველ, მეორე და მეოთხე კლასებში შესასვლელად და ეგზამენები მოსამზადებელ, პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კლასის მოწმობის მისაღებად მოხდება ამა წლის 26 მაისს დაწვრილებითი ცნობები ეგზამენების შესახებ გამოკრულია გიმნაზიის შენობაში.

თხოვნებს ეგზამენების დაჭერის შესახებ საჭირო მოწმობებით (მოწმობანი მეტრიკული, წოდებისა და ყვავილ ს აცრის შესახებ) მიიღებს გიმნაზიის უფროსი 20 მაისამდე (ამ დღესაც). თხოვნები უმოწმობებოდ განხილული არ იქნება. (3—6—2)

**ფოთის ვაჟთა**

## გიმნაზია

ამით აცხადებს, რომ კლასებში შესასვლელი და მოწმობების მისაღები გამოცდა ხსენებულ გიმნაზიაში მოხდება შემდეგის წესით: 21 და 22 მაისს I კლასისა, 23—მოსამზადებელ კლასის უფროსს განყოფილებისა, 24—მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებისა 26—მე-II კლასის და 28 მაისს—მე-III კლასისთვის (3—6.—2)

**ქუთაისში**
ექიმი მაჭრიუხოვი.
მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოვისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჰიშკარიდან. (60—ფოს.—3)


ტფილისი, 11 მაისი

ერთობ ნელა მიდის წინ აგრარული საკითხის განხილვა სახელმწიფო სათათბიროში. ჯერ წინასწარი საზოგადო კამათიც არ დასრულებულა. აუარებელმა რიცხვმა ილაპარაკა და კიდევ ბევრი ორატორია ჩაწერილი. თუმცა ახალ-ახალი ორატორები ერთსა და იმავეს იმეორებენ, თუმცა ახალს არაფერს უმატებენ წინად ნათქვამს, მაგრამ მაინც არავინ უარს არ ამბობს სიტყვაზე და ყოველი ცდა სათათბიროს უმრავლესობისა—შეზღუდოს კამათი, შეამციროს სიტყვები განსაზღვრულის დროით, ამაოდ რჩება: ყოველი დეპუტატი მოვალედ სთვლის თავის თავს ამომრჩევლების წინაშე—უთუოდ სთქვას რამე ამ წვავე საგანზე და ლაპარაკობს კიდეც ამავ ამომრჩევლებისთვის, რადგან თვით სათათბიროში ორატორს დიდ უმრავლესობას ყურს არავინ უგდებს.

იმის შემდეგ, რაც საკითხი კომისიაში გადაიცა, დიდძალ სიტყვათა შორის ღირს შესანიშნავი იყო მხოლოდ დეპუტატის მუშენკოს სიტყვა, წარმოთქმული 3 მაისის სხდომაზე. მუშენკომ წარუდგინა სათათბიროს სოც.-რევოლიუციონერების ფრაქციის პროექტი და თან განმარტა იგი. პროექტი შემუშავებული და შედგენილია როგორც კანონი და თან ახლავს განმარტებითი მოხსენება; ჩვენ უთუოდ სავსებით დავბეჭდავთ მას შემდეგში, ახლა კი გავაცნობთ მკითხველთ მხოლოდ მუშენკოს სიტყვას.

ს.-რევოლიუციონერების აგრარული პროექტი ძირითადათ განსხვავდება ყველა სხვა პროექტებისაგან: იგი სავსებით და სამუდამოთ სპობს კერძო საკუთრების უფლებას მიწაზე. კანონპროექტის ძირითადი მუხლი ამბობს: „საკუთრება მიწაზე რუსეთის სახელმწიფოს საზღვრებში ამიერიდან სამუდამოთ ისპობა; მიწა მთელის თავის სიმდიდრით—ტყე-წყლითა და მადნეულობით — აღიარებულია მთელის სახელმწიფოს კუთვნილებად და ამ კუთვნილებით სარგებლობა შეუძლია რუსეთის სახელმწიფოს ყველა მოქალაქეს." პირველი ეჭვი, რომელიც ებადება ყველას ამის გაგონებაზე, შემდეგია: არსებობს თუ არა ისეთი განწყობილება საზოგადოებრივ ძალთა, რომელიც შესაძლებლად ხდის მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობას? ს.-რევოლიუციონერები ამაზე, მუშენკოს პირით, ასეთს პასუხს იძლევიან: თითოეული კლასსის ძალა ცვალებადია; იგი სწრაფლად იცვლება ნამეტურ ისეთ რევოლიუციონურს ხანაში, როგორიც ახლა რუსეთშია. ბრძოლაში გუშინ ერთმა კლასსმა გაიმარჯვა, დღეს—მეორე იმარჯვებს; როგორი იქნება ძალთა განწყობილება ხვალ, ამაზე გადაჭრით ვერას ვიტყვით: ბრძოლა ჯერ არ გათავებულა. ჩვენი პროექტი მორიგების პრინციპზე არაა აგებული, იგი ბრძოლის შედეგი იქნება და რადგან თითოეულ კლასსის ძალა იმაზედაცაა დამოკიდებული, თუ რამდენად აქვს ამ კლასს ნათლად შეგნებული თავისი ინტერესები, ჩვენც საჭიროდ გვთვლიან ნათელი პასუხი მივცეთ ხალხს საკითხზე, თუ როგორ უნდა გადაწყდეს რუსეთში მიწის საქმე.

მაგრამ, იქნება ვინმემ იფიქროს, რომ ასეთი პროექტი პრაქტიკულად განუხორციელებელია. ამაზე დეპ. მუშენკო გვეუბნება: პირიქით, ჩვენ ღრმად გვწამს მისი პრაქტიკული ღირსებაო. პროექტი პრაქტიკულად განსახორციელებელია, რადგან იგი შეეფერება ყოველ სამეურნეო მდგომარეობას—საქონლის მოშენების საფეხური იყოს, თუნდ უმაღლესი სამიწად-მოქმედო კულტურა; განსახორციელებელია, რადგან ხელს შეუწყობს სასოფლო-მეურნეობის წარმოებით ძალას; განსახორციელებელია, რადგან ფრიად ელასტიკურია და შესაძლებლად ჰყოფს ყოველგვარ გადასახლ-გადმოსახლებასა და ყოველგვარ კულტურას; განსახორციელებელია, რადგან სრულებით არ ეწინააღმდეგება თვით ხალხის წარმოდგენასა და რწმენას, რომ მიწა არავის არ უნდა ეკუთვნოდეს და იმით სარგებლობის უფლება უნდა ჰქონდეს ყველა იმათ, ვინც თითონ იმუშავებს. კერძო საკუთრება მიწაზე ისეთივე უსამართლობაა, როგორც კერძო საკუთრება ადამიანზე (ბატონყმობა); თავი და თავი სიკეთე მიწის დასაკუთრებისა ის იყო, რომ მიწათ-მოქმედი დარწმუნებული ყოფილიყო, რომ მის დამუშავებულს მიწას არავინ წაართმევს, რომ მისი შრომის ნაყოფი მისივე იქნება; სწორედ ამ სიკეთეს ვერ ემსახურება მიწაზე საკუთრების უფლება, რადგან ახლანდელის წესით მიწის გაყიდვა შეიძლება, დაგირავება, გაჩუქება; მიწაზე საკუთრება ვერ ჰყოფს უზრუნველად მიწის სარგებლობას. მიწით სარგებლობა მაშინ იქნება მტკიცედ უზრუნველყოფილი, როცა ყოველს მოქალაქეს, ვისაც მიწათ-მოქმედება ჰსურს, მიეზომება იმდენი მიწა, რამდენის დამუშავებას შეიძლებს ის და მისი ოჯახი,—მიეზომება სასარგებლოდ და არა საკუთრებად...

ბევრს ჰგონიაო, განაგრძობს მუშენკო, რომ მიწის ასეთი გასაზოგადოება რაღაც არა ჩვეულებრივს ფორმებს ამყარებს, ისე ძირიანად სცვლის ეხლანდელს ფორმებს, რომ ადამიანისთვის წარმოუდგენელიაო; გლეხებს ეუბნებიან, მიწას წაგართმევენ და რაღაც კომუნებს დაარსებენო და სხვა. სრულებით არაო, გვიპასუხებს მუშენკო: სოციალიზაცია არავითარ შაბლონს არ ამყარებს მიწით სარგებლობისათვის; მიწა მიეცემა კერძო პირთაც, თემებსაც, ამხანაგობათაც; ყოველი დღევანდელი ფორმა შეიძლება იქნას დაცული; ჩვენი ცდაა მხოლოდ გავაფართოვოთ ნადელი, სადაც ეს ცოტაა, რისთვისაც ადგილობრივ თვითმართველობათ გადაეცემათ საკმაო მიწის ფონდი, რომლის განაწილება სარგებლობისათვის თვით ხალხის საქმე იქნება; სრულიად სოციალიზმი-კი სასოფლო-სამეურნეო საქმეში შემდეგ განხორციელდება...

ამგვარად, სხვა და სხვა აგრარულ პროექტები კიდევ მიემატა ერთი ახალი და გადაეცა საგანგებოდ არჩეულს კომისიას; აუარებელი მასალა და მძიმე საკითხი აქვს

ამას განსახილველი და შეუძლებელია მალე დაადგეს ერთს რომელსამე გზას, ერს პრაქტიკულს პროექტს. ხალხი-კი ველარ ითმენს, ველარ იცდის: „აგრარული უწესოებანი“ კვლავ დაიწყო შიდა რუსეთში და დღითი-დღე ძლიერდება; მდგომარეობა თან და თან რთულდება და ძნელდება. მთავრობა და რუსეთის თავად-აზნაურობა-კი ფეხს არ იცვლიან ერთხელვე არჩეულ პოზიციიდან. ხმა არის, რომ მთავრობა ამ დღეებში კვლავ აპირებს საგრარო დეკლარაციის წაკითხვას სათათბიროში და რომ ეს დეკლარაცია თითქმის არაფრით არ განირჩევა გორემიკინის შარშანდელ დეკლარაციისაგან. მაშასადამე, საქმეს ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს წინ: ვერც სათათბირო არიგებს რასმეს, არც მთავრობა და მის ზურგს უკან ამოფარებული მიწათ-მფლობელნი აპირობენ დათმობას. ასეთ პირობებში ძნელია იმ საშინელ კატასტროფის თავიდან აცდენა, რომლის ასე ეშინიანთ ყველა ბურჟუაზიის პარტიებს და რომლის შედეგი არც სოციალისტურ პარტიებისთვის არის საკმაოდ გამორკვეული.

## სათათბირო და საბჭო

(სააგენტოს დეპეშები)

**სათათბიროს სხდომა**. (7 მაისს სხდომის გაგრძელება). იუსტიციის მინისტრმა სიტყვა განაგრძო და, სხვათა შორის სთქვა: როდესაც ალგაჩის სატუსაღოს უფროსმა ბოროდულინმა სატუსაღოში მომხდარ არეულობის ამბავი გაიგო, 12 შეიარაღებულ კაცით მივიდა და უბრძანა ტუსაღებს, ფეხზე ამდგარიყვნენ, მაგრამ ვინც შემთხვევით ფეხზე იდგა, ისინიც დემონსტრატიულად დასხდნენ. მათ მოითხოვეს, ან რიბნიკოვი გაენთავისუფლებინათ, ან ყველანი კარცერში დაემწყვდიათ. ამასთან სატუსაღოს უფროს სალანძღავი სიტყვები მიაყოლეს და ერთმა ფინჯანიც კი ესროლა. მაშინ, ბოროდულინმა ბრძანება გასცა, ორი კაცი წაეყვანათ კარცერში. ისინი გაუძალიანდნენ. ჯარის კაცებმა მხოლოდ მსუბუქად სცემეს მათ თოფის კონდახებით და ფეხით გარეთ გაათრიეს. როცა ტუსაღებმა ჯარს წინააღმდეგობა გაუწიეს, ბოროდულინმა რაზმი გაატანინა, მაგრამ არავისათვის არ უცემნია, თუმცა კანონით ამისი უფლება ჰქონდა. აღმოჩნდა, რომ მსუბუქად დაშავებულიყო მხოლოდ 4 კაცი, დანარჩენნი სულ მცირედ იყვნენ ნაცემნი. პროკურორის აზრით ტუსაღებმა ეს საქმე მეტის-მეტად გაზვიადეს. ალგაჩის საპატიმროში 5 მარტს პატიმართა არავითარი ტანჯვა-წამება არა ყოფილა. კატორგის უფროსი მეტუსი და საპატიმროს უფროსი ბოროდულინი პატიმრებს საშინლად ეზიზღებათ, რადგან მათ სასტიკი წესები შემოიღეს. ტუსაღები განზრახ აზვიადებენ საქმეს, რომ როგორმე ბოროდულინი და სხვანი დაათხოვნინონ. ბოროდულინი მხნე და კეთილ-სინდისიერი კაცია; მან დროით მიიღო შესაფერი ზომები და საქმე სისხლის ღვრამდე არ მიიყვანა. მომავალშიაც მთავრობა ამ გზით წავა და ერთ ნამცეცსაც არაფერში დაუთმობს, რომ არ განმეორდეს ის ამბები, რაც 1906 წელს მოხდა ხსენებულ საპატიმროში, საიდანაც 17 ივლისიდან 27 ოქტომბრამდე 15 პატიმარი გაიპარა. მთავრობა ყოველ ღონეს იღონებს, რომ პატიმართა შორის დისციპლინა დაამყაროს.

უსპენსკის აზრით მინისტრმა ფაქტები გადააფუჩეჩა.

მღვ. ბრილიანტოვმა სთქვა: მთავრობა როცა კი თავისს მტრებს, პოლიტიკურ დამნაშავეებს, ხელთ ჩაიგდებს, შურს იძიებს ხოლმეო.

ტესლენკომ აღნიშნა კატორგის წესრიგის დაძველება და დაპატიმრებულთა უმწეო მდგომარეობა. მინისტრის სიტყვებიო, სთქვა მან, საპატიმროს დახავსებულ რეჟიმის გაბატონების გამოცხადებაა. ალგაჩის სატუსაღოში მშვიდობიანობა დაგიმყარებიათ, მაგრამ ეს მშვიდობიანობა უფრო სამარის მშვიდობიანობასა ჰგავსო.

ილაპარაკეს სხვა დეპუტატებმაც და ბოლოს ამ საგანზე კამათი გათავდა. შემდეგ სათათბირომ უარჰყო წინადადება, რომ ხვალ პირველად ნაკაზი განეხილათ.

ბობრინსკიმ გაახსენა სათათბიროს, რომ საჭიროა ტერრორს ზიზღი გამოეცხადოსო. სირცხვილია ამ საკითხის გადადებაო.

წაიკითხეს 30 წევრის წინადადება, რომ სხდომა გაგრძელდეს აგრარულ საკითხის გადაწყვეტამდე. უმრავლესობამ 95 ხმის წინააღმდეგ მიიღოს ეს წინადადება. თავმჯდომარემ ადგილი თავისს ამხანაგს ბერეზინს დაუთმო.

ლაშკარიევმა, კოროტაევმა, სკალოზუბოვმა, გერუსმა და ვასტინმა სიტყვების თქმაზე უარი განაცხადეს. პირველად ილაპარაკა ვეტჩინინმა. ბოქაულმა ხმები დათვალა და კანონიერი რიცხვი არ აღმოჩნდა, ამიტომ სხდომა დაიხურა.

8 მაისს სათათბიროს სხდომა მოხდა პოზნანსკის თავმჯდომარეობით. განხილულ იქმნა წინადადება იმის შესახებ, რომ ფინლიანდიის სეიმს გაეგზავნოს მისალოცი დეპეშა. სათათბირომ ეს წინადადება ტაშის კვრით მიიღო. წინააღმდეგნი იყვნენ მხოლოდ მემარჯვენენი. მათაც განაცხადეს, ჩვენ წინააღმდეგნი ვართ დეპეშის გაგზავნისა კი არა, დეპეშის რედაქციისაო.

შემდეგ სათათბირომ განიხილა ნაკაზის რამდენიმე მუხლი და მიიღო 53—89 მუხლები.

სხდომა დასრულდა 6 საათზე. შემდეგი სხდომა 10 მაისს მოხდება. განსახილველი საგნები: ნაკაზი და აგრარული საკითხი.

ასტრახანის ყირგიზთა ურდოში აირჩიეს სათათბიროს წევრად ბახტ-გირეი კოლუმბნოვი, იურისტი, კადეტი, სათათბიროს წევრად ნამყოფი.

დეპუტატ ოზოლის სახლი გამომძიებელმა მეორედ გაჩხრიკა. დაესწრო დეპუტატი გერუსი. სხვათა შორის იპოვნეს ჰექტოგრაფიული წერილები ამომრჩეველთადმი, რომელშიაც გატარებულია ს.-დემოკრატიულ ფრაქციის აზრი მთავრობის დეკლარაციის და აგრარულ და ბიუჯეტო საკითხების შესახებ.

აგრარული კომისია, კუტლერის თავმჯდომარეობით, შეუდგა მამულების იძულებით ჩამორთმევის პრინციპების განხილვას. მოისმინეს კადეტებისა და შრომის ჯგუფის წარმომადგენელთა სიტყვები. მემარჯვენენი ამტკიცებდნენ, რომ ამ საქმის ხელდახელ გადაწყვეტა შეუძლებელია, რადგან ხელთ არა გვაქვს სტატისტიკური საბუთები, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენს გარდაწყვეტილებასაო. მემარცხენეებმა კამათის შეწყვეტის წინადადება შეიტანეს. წინადადება მიღებულ იქმნა 45 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 15-ს. მემარჯვენეებმა და პოლონელთა კოლომ დარბაზი დასტოვეს. მათ დაუსწრებლად დანარჩენებმა მიიღეს მამულების იძულებით ჩამორთმევის აუცილებლობა. სხდომიდან წასული დეპუტატები აპირობენ კომისიის და იმის თავმჯდომარის საქციელის სათათბიროში განაჩივრებას, რადგან მათ (მემარჯვენე კოლოს) შეძლება არ მისცეს თავიანთი აზრი გამოეთქვათ ასეთი ფრიად საჭირო საქმის შესახებ.

სოფ. ლანჩხუთში დამსჯელ რაზმის მოქმედების შესახებ სათათბიროს პასუხს გასცემს ბარონი ნოლდე, რომელიც უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებებში კავკასიის ნამესტნიკის წარმომადგენელია.

9 მაისს ტომსკში აირჩიეს ჯერ-ჯერობით სათათბიროს სამი წევრი სამივე კადეტი. ერთი გლეხი, გვარად მიაგვი, მეორე პროფესორი როზენი და მესამე ნაფიცი ვექილი ვოლოგდსკი.

**სახელმწიფო საბჭო**. 7 მაისს მოხდა სახ. საბჭოს საგანგებო სხდომა. თავმჯდომარემ სიტყვა წარმოსთქვა ხელმწიფის და სხვათა წინააღმდეგ შეთქმულების გამომჟღავნების შესახებ; საბჭომ ეს სიტყვა ფეხზე დგომით მოისმინა. შემდეგ საბჭომ დაადგინა, გაეგზავნოს ხელმწიფეს უქვეშევრდომილესი მისალოცი დეპეშა.

## ახალი ამბავი

✦ **კავკ. ნამესტნიკის წასვლა**. როგორც სტახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, ამ ორ დღეში ნამესტნიკი პეტერბურგს უნდა წავიდეს.

✦ **რაში იხარჯება ხალხის ფული**. მკითხველისათვის ახალი ამბავი არ არის, რომ ხალხის ფული უთავბოლოდ იხარჯება. არც საკვირველია, რადგან ამ ფულს ბიუროკრატია განაგებს. აი მაგალითიც: კავკასიის საოჯახო მრეწველობის კომიტეტი (Кустарный ком.) ყველასათვის უცნობი ხილია. კაცმა არ იცის, რას აკეთებს, ან რა გაუკეთებია ამ კომიტეტს საოჯახო მრეწველობის განსავითარებლად, მაგრამ საერობო თანხიდან-კი, როგორც გავიგეთ, 6000 მან. მიუღია. ამავე დროს ტფ. საზდლოსნო სკოლა უკიდურეს მდგომარეობაშია უსახსრობისა გამო.

✦ **მეცხვარეებზე თავდასხმა**. 8 მაისს ვორონცოვის ქუჩაზე მიმავალ მეცხვარეებს თავს დაეცა რამდენიმე შეიარაღებული კაცი. ასტყდა სროლა. საბედნიეროდ არავინ დაჭრილა. ერთი თავდამცემი აირაპეტ კირაკოზოვი დააპატიმრეს და საკომენდანტო სამართველოში გაგზავნეს.

✦ **ბანკის მოქმედების გაფართოვება**. ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის ქუთაისურმა აგენტმა ხოშტარიამ შუამდგომლობა აღძრა ბანკის წინაშე: ეძლიოთ სესხი ახალსენაკისა, ზუგდიდისა, ხონისა, გუდაუთისა და ოჩემჩირის მცხოვრებთ, როგორც ქალაქის მამულების პატრონებს. გამგეობამ შეიწყნარა ეს შუამდგომლობა.

✦ **დამხრჩვალი**. 8 მაისს ი. სამოდუროვმა პოლიციაში მოიტანა დიდუბიდან ფიჯაკი, პერანგი, ქუდი და სხვა და განაცხადა, ვიღაც უცნობი მოვიდა, გაიხადა ტანს, გადაეშვა მტკვარში და დაიხრჩოვო. დამხრჩვალის ვინაობა არ არის გამორკვეული.

✦ **ტფ. გ.-გუბერნატორის განკარგულებანი**. ვიატკის გუბერნიაში იგზავნებიან: ხუთი წლით ილია შიაშვილი, რომელსაც რევოლვერი აღმოაჩნდა; სამხედრო წესების მოხსნამდე სია ბერიკაშვილი, რომელსაც ჰბრალდება მთიულიშვილის ბრბოში მონაწილეობა; ასტრახანის გუბერნიაში სამის წლით — კონსტანტინე [illegible], [illegible] არა ხაიოდე [illegible] ტფ. საგ. გუბერნატორიდან ეტაპით იგზავნებიან: დომენტი შარაშიძე, ა. ლუცენკო, მ. შალამბერიძე, არსენ ხაფავა და პ. კუზლოვი.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი** კვირას, 13 მაისს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში პ. სურგულაძე წაიკითხავს ქართულად ლექციას: „დარვინის თეორია“, და ა. ი. ხატისოვი სომხურად: „ნორმალური დასვენება“. ქართული ლექცია დაიწყება 11 საათზე, სომხური კი $12^{1}/_{2}$ საათზე. ბილეთები გაიყიდება შესვლის დროს.

✦ **კონცერტი**. 25 მაისს ზუბალაშვილის სახალხო სახლში სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება და სამუსიკალო მოღვაწეთა საზოგადოება გამართავენ კონცერტს ორსავე საზოგადოების სასარგებლოდ.

✦ **კრება**. ტფ. გენ.-გუბერნატორმა ნება არ დართო ტფ. წვრილ ვაჭართა პროფესიონალურ კავშირს კრება გამართოს.

✦ **საეკლესიო მამულები**. როგორც მკითხველებს ეცოდინებათ, საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის მოსპობიდან დიდ ძალი მამული და ქონება მიისაკუთრეს სხვებმა. ქართველებს ეკუთვნოდა, მაგალითად, ათონის მთაზე ივერიის მონასტერი, რომელსაც ყოველწლობით 300,000 მანეთამდე შემოსავალი აქვს. დღეს ეს მონასტერი ბერძნების ხელშია. დიდ ძალი მამული აქვს მონასტერს, როგორც საქართველოში, ისე რუსეთში. ან. ნატროშვილს შეუდგენია მოხსენება ამ მონასტრის მითვისების შესახებ. როგორც ხმა დადის, აზრადა აქვთ რუსეთის საეკლესიო კრებაზე ლაპარაკი აღძრან, რომ ეს მონასტერი ქართველებს ისევ დაუბრუნდეთ.

✦ **წ. კ. საზოგადოება** „ქ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას“ თავის აგენტებისთვის უთხოვნია ყოველივე ღონე იხმარონ საზოგადოების საწევრო ფულის მოსაკრებად. აგენტებმა უნდა მიიღონ აგრეთვე შემოწირულებანი ფულად თუ ნივთებით და შეამზადონ ქალაქებში სეირნობა და ლატარია-ალეგრისათვის ნიადაგი. როგორც ვწერდით, საზოგადოება უბედურეს მდგომარეობაშია. საწევრო ფული 30,000 მანეთზე მეტია მოსაკრები, მაგრამ უკვე დაუგზავნა ბარათები წევრებს, მაგრამ ჯერ არავის ერთი გროშიც არ წარუ[illegible]

## ფელეტონი

### ინგლისის პარლამენტის ცხოვრებიდან

(დიღნეგსი)

II *)

**ბიუჯეტი.**

პარლამენტს მაგრად უჭირავს ხელში ის ტომარა, რომელშიაც სახალხო ფულია, და მთელი მისი ყურადღება იმისკენ არის მიქცეული, რომ ვინმემ ხელი არ ამოჰკრას. რევოლიუციამდე კომმონერები ამტკიცებდნენ ხოლმე სახარჯავ ფულის რაოდენობას, და მეფე თავის ნებაზე, სხვის და დაუკითხავად, ხარჯავდა ამ ფულს. ამ სახარჯავ ფულს შეადგენდა სახელმწიფო მიწათა შემოსავალი და ზოგიერთი ბაჟი. მეფის შემოსავალს კომმონერები ერთხელ და საბოლოოდ ამტკიცებდნენ (მეფის ტახტზე ასვლის დროს იმის მეფობის დასასრულამდე), და მხოლოდ მაშინ, როდესაც შემოაკლდებოდა ფული, მეფე მიმართავდა კომმონერებს ახალის სახსარის აღმოსაჩენად. ასეთ შემთხვევაში პარლამენტი მართავდა ვაჭრობას და იძლეოდა ფულს მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც მეფე ხელ-ახლა აღიარებდა ხალხის ძველს თავისუფლებებს ან უთმობდა ახალს უფლებებს.

რევოლიუციის შემდეგ პარლამენტმა თავის თავზე მიიღო ჯარისა და სამხედრო ზღვაოსნობისა და სამოქალაქო მართვის ზედამხედველობა, ხოლო მეფეს დაუწესა განსაზღვრული ჯამაგირი თავის პირად ხარჯების გასაძღოლად. მას აქეთ პარლამენტი ყოველ წელს თითონ ამტკიცებს შემოსავალ-გასავალს, რომელსაც სხვა-და-სხვა მინისტრების ანგარიშების მიხედვით ადგენს და პარლამენტს უდგენს ფინანსთა მინისტრი. კომმონერების წინაშე კაბინეტის წევრთა შორის არსებობს საურთიერთო თავდებობა. ხარჯთაღრიცხვა შედგენილია ისე, რომ შეკრებილ იქმნას სწორედ იმდენი ფული, რამდენიც საჭიროა სახელმწიფო ხარჯის გასაძღოლად ერთის წლის განმავლობაში. ოდესღაც ლორდებსაც ჰქონდათ სახელმწიფო შემოსავალ-გასავალის მეთვალყურეობის უფლება. რევოლიუციის შემდეგ კომმონერებმა ჩამოაცალეს ლორდებს ეს უფლება და სახალხო ხაზინას მოაშორეს. ახალ გადასახადების შემოღება ან მათი ხარჯვა ეხლა მხოლოდ ხალხის მიერ არჩეულ წარმომადგენლებს ეკუთვნის და არა მემკვიდრეობითი კანონმდებლებს. *) მართალია, ამგვარი კანონ-პროექტი, მას შემდეგ, როდესაც კომმონერები მიიღებენ მას, იგზავნება ზედა პალატაში (ლორდთა პალატაა), მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნობაა. ლორდებმა რომ არ მიიღონ ასეთი კანონ-პროექტი (ფულის შესახებ ბილლი, ანუ კანონ-პროექტი შესახებ ახალის გადასახადისა ან მისის ხარჯვისა), კონსტიტუციის დარღვევად ჩაუთვლიან. თეორიულად ახალ კანონების შემოღების განცხადების უფლება ლორდებსაც აქვთ. მაგრამ როდესაც ზედა პალატა თავის და თავად იღებს რამე კანონ-პროექტს სახალხო ფულის ხარჯვის შესახებ, ასეთს კანონ-პროექტში, როდესაც იგი კომმონერებს ეგზავნებათ განსახილველად, ყველა ციფირი წითლად არის დასტამბული. ეს იმისი ნიშანია, რომ ლორდები მხოლოდ თავიანთ აზრს იძლევიან და სრულებით არ ეხებიან საზოგადო ხაზინას. ინგლისის სახელმწიფო მაშინის მოძრაობაში მოსაყვანად საჭიროა მეტად დიდი ფული,—143,978,000 გირვანქა სტერლინგი (1400 მილლიონზე მეტია). რუსეთის სახელმწიფო ხარჯი მეტია, მაგრამ რუსეთის მცხოვრებთა რაოდენობა $3^{1}/_{2}$-ჯერ აღემატება ინგლისისას).

ეს ამოდენი ფული გროვდება ან არა-პირდაპირის გადასახადებიდან, ან იმ ფულიდან, რომელიც მცხოვრებთ პირდაპირ შეაქვთ. რაც უფრო და უფრო დემოკრატიულდება ინგლისი, უფრო და უფრო ემჩნევა არა პირდაპირის გადასახადების პირდაპირის გადასახადებით შეცვლის წადილი. ინგლისში ვაჭრობა თავისუფალია და ამიტომ თითქმის ყველა საქონელი უბაჟოდ შემოდის. არსებობს მხოლოდ მცირედი ბაჟი შემოტანილ ლუდზე, ღვინოზე, სპირტზე, შაქარზე, ჩაიზე, კაკაოზე, ყავაზე, თამბაქოზე, ხმელ ლეღვზე და შავ ქლიავზე. ბაჟი სულ მცირეა. მაგალითად, შაქარი წვრილმან ვაჭრობაში ინგლისში $2^{1}/_{4}$ პენსად ღირს გირვანქა. (ჩვენებური გირვანქა 8 კაპეიკად), ჩაი—48—96 კაპ. გირვანქა და სხვ. მაგრამ რაკი ყველა ზემოდასახელებული საქონელი დიდ ხმარებაშია, საბაჟო შემოსავალს 35 მილლიონ გირვანქა სტერლინგამდე შემოაქვს ხაზინაში, (350 მილლიონ მანეთამდე). შემდეგ მოჰყვება აქციზები და სხვა გადასახადები, რომელთაც 355 მილ. მანეთი შემოაქვთ. აქ შეხვდებით აქციზს ლუდზე (130 მილ. მანეთი). სპირტზე (175 მილ. მან). სასპირტო სასმელების გაყიდვის პატენტები (15 მილ. მანეთი), შემდეგ გადასახადები არა საჭირო, ფუფუნების საგნებზე. მოსამსახურე ქალი საჭიროებად ითვლება ინგლისში, ხოლო მოსამსახურე მამაკაცი —„ფუფუნების და ნებივრობის საგნად“; ამიტომ ვისაც მოახლე კაცი (ლაქია) ჰყავს, განსაკუთრებულ გადასახადს იხდის [illegible] ისე, როგორც ეტლის პატრონი. ინგლისში ყველა მოქალაქე თანასწორია, და უწინდელი სათავად-აზნაურო უპირატესობანი დიდი ხანია მოშლილია და გაუქმებული; მაგრამ ვისაც სურს, შეუძლიან თავისი საგვარეულო ღერბი თავის ეტლზე გამოხატოს ან სხვა ნაირად გამოაჩინოს, მაგრამ... ამისათვის უნდა იხადოს განსაკუთრებული გადასახადი. ამრიგად, გამდიდრებულ მედუქნეს შეუძლიან თავის ქურქულზე დახატოს მხეცი რამ (ვითომ და საგვარეულო ნიშანი ან ღერბია), საზოგადოებას კი ასეთის მედიდურობისაგან შემოსავალი ემატება.

კატა საჭირო ცხოველად ითვლება ინგლისში, ძაღლი კი—მეტ საგნად; ამიტომ არსებობს გადასახადი ძაღლებზე; ამ გადასახადს ექვსი მილიონი მანეთი შემოაქვს; კატა შეგიძლიანთ იყოლიოთ რამდენიც გნებავთ და კაპიკიც არ გადაიხადოთ. თუ არა-პირდაპირი გადასახადები ინგლისელების დიდს მოთხოვნილებებს მოწმობს, პირდაპირი გადასახადი საუკეთესოდ ამტკიცებს მათს სიმდიდრეს. შემოსავალზე გადასახადს შემოაქვს 300 მილიონ მანეთამდე. ნუ დავივიწყებთ ოღონდ, რომ ვისაც 1600 მანეთზე ნაკლები შემოსავალი აქვს წელიწადში, ის სრულებით თავისუფალია შემოსავალზე გადასახადისაგან. მემკვიდრეობაზე გადასახადმა 1906 წ. მოუტანა სახელმწიფოს 120 მილიონი მანეთი. ყველა სახელმწიფო შემოსავალი, შეკრებენ სხვა-და-სხვა უწყებანი მათდამი მინდობილს შესაკრებს თუ არა, გადაეცემა ინგლისის ბანკს და ამ ბანკში ირიცხება „მის უდიდებულესობის ხაზინადრის“ სახელზე, ე. ი. ფინანსთა მინისტრის სახელზე და შეადგენს ე. წ. Consolidated Fund ს. ეს ფონდი შესდგება იმ ფულისაგან, რომელიც განხილვაში პარლამენტი არ შედის, მაგრამ რომელიც უწინ ყოფილა დამტკიცებული პარლამენტისაგან და იმ ფულისაგან, რომელსაც ყოველ წელს იძლევა პარლამენტი. პირველი რაოდენობა ფულისა, ანუ „გაჰედილი ფონდი“, შექმნილია პარლამენტის განსაკუთრებულ კანონის ძალით. Consolidated Fund Jeruices შეადგენს ეხლა 300 მილიონ მანეთამდე. ამ „გაჰედილ ფონდს“ შეადგენს უმთავრესად ის ფული, რომელიც იხარჯება სახელმწიფო ვალის გასასტუმრებლად, ამ ვალის სარგებლის გასასტუმრებლად (280 მილლიონ მანეთამდე; სახელმწიფო ვალი უდრის ეხლა 7800 მილლიონ მანეთს). „გაჰედილ ფონდს“ ეკუთვნის აგრეთვე მეფისა და სამეფო სახლის ჯამაგირი და აგრეთვე იმ პირთა პენსიები, რომელთა წინაპართაც რაიმე განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით ინგლისის წინაშე. ინგლისელები სცდილობენ ხელი შეუწყონ და შესაფერისად აცხოვრონ თავიანთი მეფე, მაგრამ ჯამაგირის დანიშვნის დროს მაინცა და მაინც არ იჩენენ ხელგაშლილობას. 1689 წ. მეფეს დაუნიშნეს 6 მილლიონი მანეთი წელიწადში. ვილჰელმ III მიუმატეს ერთი მილლიონი; გეორგ I—კიდე ერთი მილლიონი, ხოლო გეორგ III იღებდა 10 მილლიონ მანეთს. შემდეგ ძლიერ აიშალნენ მეფე და კომმონერები და ამათ ძლიერ შეამცირეს ფული. ვილჰელმ მ-IV, მაგალითად, იღებდა წელიწადში მხოლოდ [illegible] მილლიონ მანეთს. ეხლა ინგლისის მეფე იღებს წელიწადში ოთხ მილლიონ ნახევარს, უელსის პრინცი (მემკვიდრე)—200,000 მანეთს, მისი მეუღლე—100,000 მანეთს, დანარჩენი პრინცები იღებენ სამოციდან—ოცდა[illegible] მანეთამდე (გარდა კონნაუტის ჰერცოგისა, რომელსაც 200,000 [illegible] იღებდა წელიწად[illegible]

*) იხ. „ისარი“ №№ 82 და 85

*) ყოველი ლორდი, თავის გვარში უფროსი, იმავე დროს წევრია ლორდთა პალატისა; მას არა სჭირია არავისი არჩევანი და ამიტომ მას ეთქმის მემკვიდრეობითი კანონმდებელი.

დგენია, გარდა ბ-ნ ბერელაშვილისა, რომელმაც უკვე გადიხადა მაზე დარჩენილი საწევრო ფული 135 მან.

✦ **„წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ.** სია იმათი ვინც შესწირეს „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ განზრახულს ბაზარს.

ზედგინიძე—ორი ქუდი, სამი ვეერი; ოქოევი—ჩითის მოსახვევი; კაჭკაჭოვი ივ. გრ.—ოცი არშინი აჟური; ერამოვი და ტერ-გრიქუროვი—ორი წყვილი ხელთათმანი, ორი პრიაჟკა; მაჩკალოვი—მძივის ქირა, თავსაკრავი, ხელთათმანი; ნოზაძე—ვაზის პედურინა, ერთი კოლოფი ფოლაქი; ტერ-ოვანეზოვი—რედიკიული; სლალინოვი—შლიაპა ბავშვისა; ნავთიკოვი—შლიაპა; მ. ნახიბოვი—ბავშვის პალტო; ალიხანოვი—4½ დუჟინი ფოლაქები; ნერსესოვი—ტუფლები; ქალანთაროვი—ტუფლები პარუსინისა; ბადინოვი—ტუფლები; დარჩიევი—ფოლაქები; ფორაქაშვილი—სარუბაშკე ჩითი.

✦ კვირას, 13 მაისს, ტფ. ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდება საზოგადო კრება სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოებისა.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „გთხოვთ თქვენს გაზეთში გამოაცხადოთ შემდეგი: „ექვს ამ თვეს ჩემთან მოვიდა ცამეტი წლის ახალგაზრდა ქალი როგორც თითონ ამბობს, ნინა გამრეკელიძე. მატარებლით მშობლებთან ერთად მიმავალა ბათუმში და დარჩენილა. მშობლებს შაუძლიანთ მიმართონ ს. სკრაში უფროს მუშას დიმიტრი ვასილის ძე თევზაძეს. ბავშვი კარგად არის და სცხოვრობს ჩემთან. ვთხოვ სხვა გაზეთებსაც რომ გადაბეჭდონ."

✦ პოლიციის მე 7 ნაწილში 8 მაისს ვიღაც უცნობმა დანით დასჭრა მეეზოვე კარაპეტ სარქისიანი. ეჭვი მიიტანეს ნიკო კვინიაშვილზე და დააპატიმრეს.

✦ ბათუმის ქუჩაზე პოლიციის მე-10 ნაწილში კაზაკოვის სახლში პოლკოვნიკმა მირზა ყული ბეკ ალაზაროვს უეცრად თოფი გაუვარდა. ტყვია მოხვდა უბნის ზედამხედველის შვილს დავით აუშევს. დაჭრილი რამდენისამე წამის შემდეგ გარდაიცვალა.

✦ ვორონცოვის ხიდზე ელექტრონის ვაგონს ქვეშ ჩავარდა 7 მაისს რუბენ ტოპახიანცი და ძლიერ დაშავდა.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ ხონის გიმნაზიის გამგედ, როგორც გავიგეთ, ნიშნავენ ქართულ გიმნაზიის გამგის ძმას ბ-ნ ოცხელს.

✦ ქართული საოპერო დასი აპირებს ქუთაისის ქალაქის თეატრში გამართოს რამდენიმე ქართული ოპერა. პირველი ოპერა დანიშნულია ზეგ 13 მაისს.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობაში აღიძრა აზრი, რომ ყველა ქალაქის წარმოებანი (თეატრი, აფთიაქი, ტელეფონი და სხ.) იჯარით გაიცეს შემოსავლის გასაძლიერებლად. რამდენადაც ჩვენ ვიცით, აღმასრულებელი კომისიები წინააღმდეგნი არიან ამისი და ამით აიხსნება ის, რომ საფინანსო კომისიამ უარი უთხრა ბალანჩივაძეს, რომელსაც თეატრის აღება უნდოდა იჯარით.

✦ ქუთაისის რეალურის სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭომ 2 მაისს მსჯელობა იქონია მოსწავლეთა გაფიცვის შესახებ 1 მაისს და იმ გადაწყვეტილებას დაადგა, რომ მოსწავლეთათვის უნდა ჩაეგონებინათ რამდენად მათი საქციელი არ ეთანხმებოდა მოსწავლეთა მდგომარეობას. საბჭომ თავისი გადაწყვეტილება აცნობა ოლქის მზრუნველს, რომელმაც 5 მაისს უშველებელი დეპეშით აცნობაბა დირექტორს, თქვენი გადაწყვეტილება ხელ-მეორედ განიხილეთო. პედაგოგიური საბჭო არ დაემორჩილა მთავრობის ბძანებას და თავისი გადაწყვეტილება არ შესცვალა.

✦ ამას წინად გაცნობეთ, რომ უწყებების ჩაუბარებლობის გამო, რამდენიმე მამული ისე გაიყიდა საადგილ-მამულო ბანკის საჯარო ვაჭრობაზე, რომ მამულის პატრონთ არც-კი გაუგიათ. ერთის ამ გვარად დაზარალებულ კაცის თხოვნა, სახელდობრ კიკნაძისა, 6 მაისს განიხილა ზედამხედველმა კომიტეტმა და გამგეობამ. ბანკის მმართველი ორგანოები დარწმუნებულან, რომ პატრონის გაუგებლად მამულის გაყიდვაში მათაც უდევთ ბრალი, ამიტომ წინადადება მიუციათ მყიდველისათვის, კიკნაძეს მოურიგდიო. განხორციელდება თუ არა ეს „მორიგება", ძნელი სათქმელია, ეს-კი ეჭვ გარეშეა, რომ ბანკის მმართველნი, დღეს იქნება თუ ხვალ, იძულებულნი გახდებიან თავიანთი განცხადებანი ნაცვლად იმისა, რომ „გუბერნიის უწყებაში" და სხვა ამ გვარ გაზეთებში ბეჭდონ, ქართულ გაზეთებში მოათავსონ.

✦ ამ დღეებში თ-დი მინგრელსკის კანტორაში შევიდა რამდენიმე კაცი იმ დროს, როცა იქ იყო თავადის მამულის გამგე ნაფიცი ვექილი კოჩაკიძე და მისი თანაშემწე ვლადიმერ ალშიბაია, და იარაღით ხელში მოსთხოვეს 300 მანეთი. ფული არ აღმოსჩენიათ კანტორაში მყოფთ და უცნობნი დაჰმუქრებიან, მერე შემოვალთო. როგორც ამბობენ, 300 მანეთის მაგივრად კოჩაკიძეს მიუცია 100 მ.

✦ ქალაქის გამგეობას განუზრახავს ქალაქის ქალთა უფასო სასწავლებელში სწავლის გადასახადი დააწესოს თითო მოსწავლე ქალზე 4 მანეთი. ამ საკითხს საბოლოოთ გადასწყვეტს ქალაქის საბჭო. მთელი რუსეთი ამ ჟამად იმაზე ფიქრობს, რომ სწავლა უფასო გახადოს და ჩვენი ქალაქის გამგეობას კი სწორედ ეხლა განუზრახავს უფასო სასწავლებელი „ფასიანად" გადანათლოს.

✦ საშუალო სასწავლებლების საბჭოების უმეტეს ნაწილის გადაწყვეტილების წინააღმდეგ, კავკასიის სამასწავლებელ ოლქის მზრუნველს ცირკულიარით წინადადება მიუცია საშუალო სასწავლებლებისათვის, მეექვსე, მეშვიდე კლასში ეგზამენები ძველებურად მოხდეს.

## სასამართლო

### საქმე წითელი რაზმის შესახებ.

10 მაისს პალატის სესიამ ქუთაისში წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით განიხილა პოლიტიკური საქმე ლეჩხუმის მაზრის სახელმწიფო დაწესებულებათა განადგურების შესახებ. ბრალდებულთ იცავენ ნაფიცი ვექილები მოსე ქიქოძე და ალ. საყვარელიძე.

სამართლოში მიცემულნი არიან: პლატონ აზვლედიანი, ოსია აბაშიძე, ჩიხია აბაშიძე, გიგო ჩიკვაიძე, ილია ბურჯანიანი, აბიბო ჩაჩხიანი, მოსე გორგასიძე, მაქსიმე გალეთიანი, გიორგი გოგებაშვილი, თეოფილე თვარაძე, ვასილ გუგავა, მათე შეიკიშვილი, ილიკო სილოქვაძე, ჯუმულ სილოქვაძე, კოსტა გოგებაშვილი, დომენტი გოგებაშვილი, იობა ლარწულიანი და დათო ჯონჯარაძე.

საბრალმდებლო ოქმში საქმის გარემოება ასეა აღნიშნული: 1905 წლის დამლევს სარევოლიუციო მოძრაობა გავრცელდა ლეჩხუმის მაზრაზე, სადაც (ცაგერში) განადგურებულ იქმნა სახელმწიფო დაწესებულებანი. 30 დეკემბერს 1905 წელს ცაგერიდან 9 ვერსის მანძილზე ს. ორბელში გაჩნდა შეიარაღებული «წითელი რაზმი», 100 კაცისაგან შემდგარი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ჰიჰიკო ასათიანი, პლატონ აზვლედიანი და გიორგი შანიძე. 31 დეკემბერს მათ შეუერთდა ოცამდე ორბელელი იმ აზრით, რომ ჯერ ცაგერი გაენადგურებინათ და მერე ქუთაისისაკენ გასულიყვნენ. ცაგერში რაზმი სამ ნაწილად გაიყო—ერთი სამაზრო მმართველობისაკენ წავიდა, მეორე—მომრიგებელ სასამართლოსაკენ და მესამე—ფოსტისაკენ. ერთი პატარა რაზმი მივიდა გამომძიებელ კეჟერამესთან, სადა დააპატიმრეს მაზრის უფროსის თანაშემწე ბაქრაძე და სვანეთის ბოქაული—იამჩენკო. პირველი რაზმი, ჩიჩიკო ასათიანის მეთაურობით, მივიდა სამაზრო სამმართველოში, საიდანაც გაიტანეს წიგნები, ქაღალდები და საქმეები და ცეცხლს მისცეს. მომრიგებელ სასამართლოში რაზმელები მივარდნენ ფულის სკივრს, გასტეხეს იგი და ამოიღეს ფულად 15 კაპ., ღერბისა და სხვა მარკები. საქმეები, წიგნები და სხვა საბუთები ეზოში დასწვეს და წვრილი ნივთები მიითვისეს. მომრიგებელმა მოსამართლემ სცადა ხალხის შეჩერება, მაგრამ მას მივარდა გიგო ჩიკვაიძე, მოხადა ქუდი, რომელსაც მოხსნა კოკარდა და ლუკმა-ლუკმად აქცია. ამის შემდეგ მომრიგებელი მოსამართლე მათ გასცილებია. ამნაირადვე გაანადგურეს ქაღალდები, საქმეები და საბუთები სასამართლოს ბოქაულის ჯანელიძის და ნოტარიუსის კუპრაშვილის კანცელარიებში.

ფოსტაში პირველად 15 შეიარაღებული კაცი მივიდა და შემდეგ მათი რიცხვი 55 კაცამდე ავიდა. ფულის სკივრი ლომით გასტეხეს და რამდენსამე წუთში დააცალიერეს. ფული, მარკები და კანტორის ნივთები, ღირებული 1690 მანეთად, მიითვისეს და შემდეგ ამისა შეუდგნენ ნადავლის გაყოფას. ნაშუადღევის 4 საათზე რაზმელებმა დაიბარეს გასამართლებლად დატყვევებული ბოქაული იამჩენკო, მაგრამ დაღამების გამო ეს საქმე ვერ დააბოლოვეს და იამჩენკო გაანთავისუფლეს მეორე დღემდის იმ პირობით, რომ იგი ცაგერიდან არსად წასულიყო. შემდეგ ამისა რაზმი დაიმალა და რამდენისამე დღის შემდეგ მაზრის უფროსის თანაშემწემ მიიღო ჭ. ასათიანის ხელმოწერილი წერილი, რომლითაც მას ანთავისუფლებდნენ.

1906 წ. იანვრის დამლევს ცაგერში მოვიდა ცნობა, რომ ქუთაისიდან ჯარი მოდის. რაზმი მთლად დაიმალა, ზოგი მათგანი მიიმალა და ზოგმაც სინანული გამოაცხადა.

ამის გამო დასახელებულ პირთ ჰბრალდებათ ის, რომ ერთმანერთთან და სხვებთან შეთანხმებით განიზრახეს ძალით შეცვლა რუსეთში დამყარებულ წესწყობილებისა. ამისათვის მათ 1905 წლ. დამლევს და 1906 წლ. დასაწყისში ლეჩხუმის მაზრაში შეადგინეს «წითელი რაზმი» «ცენტრალურის შტაბით» და სოფელ ცაგერში დაესხნენ ფოსტა ტელეგრაფის განყოფილებას, სამაზრო სამმართველოს, მომრიგებელ სასამართლოს, სასამართლოს ბოქაულს, სადა «ძირს ნიკოლოზის» ძახილით, გაანადგურეს იმპერატორის სურათი, დასწვეს ამ დაწესებულებათა საქმეები, საბუთები და წიგნები, მიითვისეს ფული და მასთან კანონიერ მთავრობას ნება არ მისცეს, თავისი მოვალეობა შეესრულებინაო.

მოწმეებად დაბარებულია 13 კაცი და მათ შორის: ფოსტის უფროსი მახარაძე, სასამართლოს ბოქაული ჯანელიძე, მაზრის უფროსის თანაშემწე ბაქრაძე, ბოქაული იამჩენკო, მომრიგებელი მოსამართლე პოპოვი, გამომძიებელი კეჟერაძე და სხვა.

## პრესსა

ფინლიანდიის სეიმის გახსნას სიამოვნებით და აღტაცებით ეგებება ჩვენებური სოციალდემოკრატების გაზეთი „ლახვარი". ცენტრალიზმის თეორეტიკოსები გულდრუჯს უკმევენ ფინლიანდიის ერის გამარჯვებას ცენტრალიზმზე და იძულებულნი არიან ქედი მოუხარონ იმ ნაყოფიერ ბრძოლის წინაშე, რომელსაც ფინლიანდიის მთელი ხალხი „ორ თავიან არწივის კლანჭებიდან" გასანთავისუფლებლად ეწყოდა. ჯერ მათს კალამზე არ გამშრალა ის შავიანი მელანი, რომლითაც ჩვენებური სოციალ დემოკრატები საქართველოსთვის ავტონომიის მოთხოვნას ხალხის ინტერესებისადმი ღალატად ჰხატავდნენ, და უკვე ქებათა ქებას უძღვნიან იმ პოლიტიკურ ბრძოლას, რომელმაც აღადგინა ფინლიანდიის ერის თვითმმართველობა.

ჩვენს სოციალ დემოკრატებს ფინლიანდიის მაგალითმა დაავიწყა ყველა არგუმენტები დეცენტრალიზაციის წინააღმდეგ, დაავიწყა, რომ მათის სიტყვით ავტონომია ბურჟუების იდეალი იყო მშრომელ ხალხის დასაჩაგრავად, და ეხლა იმედიანად შეჰყურებენ ფინლიანდიის სეიმის მომავალს მუშაობას ამ ქვეყნის სოციალ-პოლიტიკურ მდგომარეობის გასავითარებლად.

პოლიტიკურ თვითმართველობისთვის ბრძოლა ფინლიანდიაში, სოციალ-დემოკრატების აზრით, ტაქტიკურადაც მოსაწონი ყოფილა და თავის შედეგითაც უფრო ხელსაყრელი, ვიდრე მთელის რუსეთის ხალხის საერთო ბძოლა ცენტრალისტურ პარლამენტის შესაქმნელად, მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებს აზრი შესცვლოდეთ საერთოდ პოლიტიკურ თვითმმართველობის შესახებ. სრულიადაც არა! ისინი ისევ ცენტრალისტები არიან და თავის ცენტრალისტობას კიდევ არა ერ ხელ დაამტკიცებენ. მათ დეცენტრალიზაცია მხოლოდ სხვა ქვეყნებისთვის მოსწონთ და არა თავის სამშობლო ქვეყნისთვის, მით უმეტეს, რომ მარქსის მოძღვრებით მათ სამშობლო სულაც არ გააჩნიათ.

## პროვინციის ცხოვრება

**მარტყოფი** (ტფილ. მაზრა). ამ დღეებში რუსულსა და ქართულ გაზეთებში აღნიშნული იყო ერთი ამბავი ამიერ კავკასიის შესახებ. მოხსენებულია: ჟანდარმთა გენერალი ტაუბე უმაღლეს მთავრობას ატყობინებს ტფილისიდან, რომ ამიერ-კავკასიის ზოგიერთ ადგილებში რუსეთის შიდა გუბერნიებზე მეტი შიმშილია, ხალხი დიდს გაჭირვებას განიცდის და კავკასიის მთავრობა კი ამას არავითარს ყურადღებას არ აქცევსო. ჩვენთვის ადგილობრივ მცხოვრებთათვის ახალი ამბავი არ არის ჩვენს გაჭირვება-მოთხოვნილებებზე ბიუროკრატიის მიერ თვალების ახვევა, ყურის მოყრუება და საქმის მიფუჩეჩება. ასეთს პოლიტიკას უკვე შევეჩვიეთ და ბევრს არც მოველით რასმეს. მხოლოდ სამწუხარო და სავალალო ამ ჟამად ჩვენთვის ის არის, რომ ხელშეკრულნი ვართ და უფლება არა გვაქვს შევქმნათ საერთო ორგანიზაცია ისეთი უსაჭიროეს საქმისთვის, როგორიც არის დამშეულთათვის შემწეობის აღმოჩენა, მშიერთათვის ნატეხი პურის მიწოდება. ბიუროკრატიას არ უნდა ოფიციალურად აღიაროს იმერეთისა და ქართლ-კახეთის ზოგიერთ ადგილებში შიმშილობის ჩამოვარდნა. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ შიმშილი მარტო წელს კი არა, მომავალშიაც მოსალოდნელია. აგერ მეორე თვე გადის და ძალიან ბევრ ადგილას ჯერ ცვარი წვიმა არ ჩამოვარდნილა. ჭეჭილი ყველგან კარგად წამოვიდა გაზაფხულზე, მაგრამ აპრილის პირველ რიცხვებიდანვე ისეთმა არა ჩვეულებრივმა სიცხეებმა დააჭირა, რომ დამის ღეროდვე ჩახმეს. ამას დაუმატეთ მინდვრის თაგვები კახეთისკენ და სხვა მწერები და წარმოიდგინეთ, როგორი პირი უჩანს ჩვენში მოსავალს.

არ ვიცით, სხვაგან რა მწუხარებას განიცდის ხალხი, ხოლო რაც შეეხება ტფილისის მაზრის სოფლებს, ზოგნი მაინც მეტად შევიწროებულნი არიან შარშანდელ მოუსავლობით და მომავლის შიშით. სოფ. ნორიოსა, დიდოს, მარტყოფსა და სხვ. ჯერ კიდევ მარტის ბოლო რიცხვებში შემოაკლდათ ხორბალი და დღეს უმრავლესობა მონასყიდეა. კიდევ კარგი, რომ ხალხს სახსარი ჰქონდეს ხორბლის ყიდვისა. სოფ. მარტყოფში სახელმწიფო და სხვა გადასახადები ეგზეკუციის საშუალებით შეჰკრიბეს და ეს მაშინ, როდესაც ხალხს ერთი თვის შემდეგ შიმშილი ელოდა. მარტყოფში სულ 900 კომლი კაცი სცხოვრობს. აქედან 700 კომლი ანუ დაახლოვებით 7000 სულია შიმშილის პირს მიცემული. სამეურნეო თანხა მარტყოფს 18,000 მანეთზე მეტი აქვს. სოფლის ყრილობის დადგენილებით საზოგადოების წარმომადგენლებმა ითხოვეს ეს ფული ამ გაჭირვების დღეს მაგრამ უარი მიიღეს: სამეურნეო თანხა სულ სხვა დანიშნულებისათვის არის და პურისათვის ვერ მოგცემთო. აი, მკითხველო, სამაგალითო და სასაკო ნიმუშები ბიუროკრატიის მზრუნველობისა! ხალხს პური შიან, თავის ფულით მოგროვებულ თანხიდან დახმარებას ითხოვს და პასუხად-კი მიდის: მაგ ფულს ვერ მოგცემთ, სხვა დანიშნულება აქვსო. სატცარი ამბავია, თქვენმა მზემ! ხალხი რომ შიმშილით ამოწყდება, ნეტავ რა დანიშნულება უნდა მიეცეს აღნიშნული თანხას? მარტყოფის სოფლის წარმომადგენლებმა მეორედ ადსძრეს შუამდგომლობა, რომ თუ სამეურნეო თანხიდან არა, სხვა წყაროდან მაინც გაგვიწიეთ რაიმე შემწეობაო. დიდის ვედრების შემდეგ ძლივს გაჭირვებით გაიმეტა 7500 მან. ისიც სესხად მისცეს სოფელს. ეს ფული სოფელმა სამი წლის განმავლობაში უნდა გადაიხადოს. ეს ფული სულ დიდი ორ კვირას თუ ეყოფა 700 კომლს კაცს. ამ ფულით ტფილისში იყიდეს 3000 ფუთი ფქვილი და უკვე დაურიგეს ხალხს. თითო კომლს აქედან შეხვდა ორი ფუთი და 10 გირვანქა და ამ თითოულ ოჯახს, 7—10 სულისაგან შემდგარს [illegible]? თუ კი ეხლა ასეა საქმე, რა იქნება მომავალში, რადგან ძლიერის გვალვისაგან მეტად ცუდი პირი უჩანს მოსავალს. მეორე თვეა ძლიერი სიცხეებია, რამაც ისე მიღუღა ნათესი, რომ დამის სულ აახმა. ხალხი ძალიან სასოწარკვეთილებაშია უავდრობისა გამო.

თუ რამდენად მარტყოფი გონებით ჩამორჩენილია, ამტკიცებს, სხვათა შორის, ერთი ამბავი, რომელიც მოხდა აღდგომის მეორე დღეს, 25 აპრილს. სოფელში მონასტრიდან ამბავი ჩამოიტანათ ვნების კვირის ბოლო რიცხვებში, რომ მონასტრის ბერს იოსებს საშინელი სიზმარი უნახავსო. ბერს სიზმარში შეუნიშნავს, რომ ციდან მარტყოფში სამგან ცეცხლი ჩამოვარდნილა და მარტყოფს მოჰკიდებოდა. შემდეგ ამ მატყუარა ბერს ვითომ წმინდანი გამოცხადებია და უთქვამს: მარტყოფმა ღმერთი გაარისხა და უბედურება მოელის; ადექით მონასტრის ბერები, ბაირაღებით, ხატებით და ლოცვით ჩაიარეთ სოფელი მარტყოფი და მისი საყანე ადგილებში; ეს დღე მარტყოფმა უნდა იუქმოს და ხალხიც უნდა გამოჰყვეთ ყანებში პარაკლისების გადასახდელად; ამის შემდეგ მარტყოფს ეშველება, წვიმა წამოვა და მოსავალს გამოაბრუნებსო. აღდგომა დღეს თვით ბერი იოსები ჩამოვიდა სოფელში, ინახულა სოფლის მეთაური კაცები, მამასახლისი და მღვდლები. გადასწყვიტეს ბერის წინადადება შეესრულებინათ. ამასთან შეემუშავებინათ გეგმა, თუ სადამდე უნდა გაევლო ხალხს ლიტანიით. 24 აპრილს გადაწყვეტილების შესასრულებლად ღვთაებიდან მართლაც ჩამოვიდნენ ბერები. რამდენიმე კაცი ბაირაღებით წინ მიუძღოდა პროცესიას, მერე მოდიოდა იოსებ ბერი ხატით ხელში და შემოსილი, შემდეგ სხვა ბერები შემოსილნი და აიაზმის წყლის სხურებით შემოვიდნენ სოფელში. აქ ხალხმა შეიყარა თავი და ავიდნენ სამების ეკლესიაში. ეკლესიას სამჯერ ლიტანიით შემოუარეს, მცირე პარაკლისი გადაიხადეს და შემდეგ წავიდნენ მარტყოფის საკრებულო ტაძარში პარაკლისის გადასახდელად. ამ სამებობას ბევრი ხალხი დაესწრო. ესენიც პროცესიას შეუერთდნენ და წავიდნენ შუა სოფლისაკენ. პარაკლისის გადახდის შემდეგ ზარები დარეკეს და ხალხს შეატყობინეს: ხვალ, 25 აპრილი უნდა იუქმოთ, დილით ადრე ვაზიანის სადგურამდე 20 ვერსი უნდა გავიაროთ და გზა და გზა მარტყოფის მამულებში პარაკლისები უნდა გადავიხადოთო.

25 აპრილს ზარის რეკაზე ხალხი შეიკრიბა და გზას გაუდგა. ქალები ფეხ-შიშვლები და მატირალნი გაჰყვნენ პროცესიას. სულ 600 მეტი ქალი და კაცი წავიდა ვაზიანისაკენ. პირველი პარაკლისი გადაიხადეს უდევას ადგილებში, მეორე ქაცნისში და 4 პარაკლისიც ვაზიანის საყანე ადგილებში. იმ ადგილას, სადაც პარაკლის იხდიდნენ, ხალხი ბერების ბრძანებით მიწას სთხრიდა, შიგ ბერები ზეთს ასხავდნენ, აიაზმას წყალს, შემდეგ დაფშხვნილს ნახშირს ჰყრიდნენ, ბოლოს თხრილს მიწას აყრიდნენ და ზედ ქვებს აშწკრივებდნენ. ასე ჰქნეს ექვს ადგილას. ბერების აზრით იმ ადგილებში, სადაც ზეთი და აიაზმის წყალი ჩაასხეს ნიშები ანუ პატარა სამლოცველოები უნდა აიგოს. ამ რიგად ხალხს გაუვლია 15 ვერსზე მეტი. პროცესიის მეთაურებს უნდოდათ თურმე ხალხი თაქალას მინდვრებამდე ჩაეყვანათ, მაგრამ ისე მოქანცულან, რომ ვაზიანს აღარ გასცილდებიან. დაქანცული ხალხი მარტყოფში საღამოს 9 საათზედ დაბრუნდა. ამ საღამოთი ცოტათი ცა აირია და უნდა გენახათ, რა აღტაცებულნი იყვნენ ბერები. მაგრა წარმოიდგინეთ ხალხის გაოცება, 26 და 28 აპრილს ტფილისსა და იმის გარეშემო ცოტა წამოწვიმა, ხოლო მარტყოფში, როგორც ეხლა გავიგეთ, ცვარი წვიმა არ გადმოვარდნილა.

მარტყოფი სხვა ფრივადაც სამწუხარო მდგომარეობაშია. სამინისტრო სკოლა მეორე წელიწადია დაკეტა ხალხმა, რაკი სარგებლობა ვერა ნახა. სოფელს უნდოდა ახალ ნიადაგზე მოეწყო სკოლა, მაგრამ ეს საქმეც ჩაუფუშდა. სასკოლო შენობაც და მოწყობილობა მზად არის. მეორე წელიწადია აგრეთვე სასოფლო სამკურნალო დაკეტილია, ექიმი აღარ მოუწვევიათ და თუ ხალხს საექიმო დახმარება სჭირდება, ტფილისს უნდა მიაშურონ. სოფელს ძალიან ძვე-

მი.). მთელი სამეფო სახლი უჯდება ინგლისს ხუთ მილლიონ მანეთად წელიწადში. ისეთ მდიდარ ქვეყნისათვის, როგორიც ინგლისია, ეს, რასაკვირველია, ძლიერ იაფია. იტალია ღარიბი ქვეყანაა, მაგრამ მარტო მეფის ჯამაგირი აღემატება ინგლისის მთელ სამეფო სახლის ჯამაგირს ერთ მილლიონ მანეთით. „გაქცეულ ფონდს" ეკუთვნის აგრეთვე, როგორც ნათქვამი იყო, პენსიები, რომელიც ეძლევა იმ პირთა შთამომავალთ, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება რამ მიუძღვით ინგლისის წინაშე (ნელსონი, ველლინგტონი), შემდეგ სპიკერის ჯამაგირი (50,000 მან.), მეფის მოადგილეს ირლანდიაში (200,000 მან.). არა მსჯელობს პარლამენტი არც იმ 300 ათას მანეთის შესახებ, რომელიც გადადებულია ე. წ. „საიდუმლო ხარჯისათვის". „რაც უფრო ნაკლებ პირთ ეცოდინებათ, რაზე იხარჯება ეს ფული, მით უკეთესია ინგლისის ინტერესებისათვის", —სთქვა ერთხელ გლადსტონმა ამ „საიდუმლო ფონდის" შესახებ. ინგლისის ბიუჯეტთან შედარებით „საიდუმლო ფონდი" მეტად უმნიშვნელო რაოდენობას შეადგენს. ამას გარდა, ინგლისის ხალხი ნდობის თვალით უყურებს თავის სამინისტროს, რადგან ეს უკანასკნელი თავის მოქმედების პასუხის მგებელია პალატის წინაშე. ამიტომ ინგლისელები ურიგდებიან „საიდუმლო ფონდის" არსებობას. შეუძლებელიც არის, რომ ეს საიდუმლო ფონდი სამინისტრომ არა მართებულად მოიხმაროს, რადგან არის განსაკუთრებული კომიტეტი, რომელმაც ყოველთვის იცის, რაზე და როგორ იხარჯება საიდუმლო ფონდი. „შექცეული ანუ კავშირის ფონდი" ხელუხლებელია; მაგრამ თვით ეს ხელუხლებლობა პარლამენტის დაწესებულია.

**ივ. ფ—შვილი.**

(შემდეგ თავის დასასრული იქნება)

რად უქდება სავყუსით შტატის (7 კაცისაგან შეიდგება) შენახვა, როგორც გვგონია, მარტოოდენ შეუმდეგ შორი განზრახვა აქვთ ურთიერთის ადიძრან საკითხი, რომ შტატი შემცირდეს.

რადგან ნახვისთვის ფულით ნაცდი ფქვილი თითქმის გამოცდა კადგე სოფელს, მთავრობ განზრახვა აქვს კადგე ადიძრან შემცდომლობს გამოსაკვებ ფულის სესხებად. სტუმარი.

# რუსეთი

◆ **პოლიტიკურ ტუსაღების თხოვნა.** სათათბიროს თავმჯდომარემ მიიღო ვოლოგდის გუბ. ქ. ნიკოლსკიდან 136 პოლიტიკურ გადასახლებულთა თხოვნა, რომელშიც აწერილია მათი გაჭირება, ადმინისტრაციისაგან შევიწროება; გადასახლებულთათვის დანიშნულ ფულს იმათ დროზე არ აძლევენ, ერთ შესამე ... დროს ს. გადასახლებულნი სთხოვენ სათათბიროს იზრუნოს მათი მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ.

◆ **გურკოს საქმე.** სახელმწიფო საბჭომ განიხილა გურკოს საქმე და დაადგინა, გადაეცეს იგი სენატს განსასჯელად და მსჯავრი დასდონ. გურკოს უფლების აღმატება ჰბრალდება.

◆ **სინოდის განკარგულება.** უცელა სასულიერო კონსისტორიას გაეგზავნა სინოდის განკარგულება იმის შესახებ, რომ სასტიკად თვალ-ყური ადევნონ სამღვდელოებას, მეტადრე სოფლის მღვდლებს: აუკრძალონ იმათ მოიქრონ საზოგადოებრივ ქადაგება, სათათბიროში თხოვნების შედგენა და სხ. დამნაშავე მღვდლებს დაუყოვნებლივ და სასტიკად უნდა გადაეცე იქმნან.

◆ **რუსთა კავშირის ორგანო.** 15 მაისიდან შუაგულ რუსეთის უცელა გუბერნიის სასოფლო საზოგადოებას „ნამდვილ რუსთა კავშირი“ უფასოდ გაუგზავნის თავის ორგანოს „რუსკოე ზნამია“-ს.

◆ **მემარჯვენეთა თათბირი.** სათათბიროდან ... მემარჯვენეებმა შეიკრიბნენ და თათბირი ჰქონდათ შემდეგ მოქმედების შესახებ. თათბირზე სხვათა შორის გამოითქვა, რომ ხალხში ამ ბოლო დროს შესუსტდა თანაგრძნობა ნამდვილ რუსთა კავშირის მიმართ. მემარჯვენეებმა დაადგინეს აგენტები გაგზავნონ პროვინციაში მათი აზრების გასავრცელებლად, ამავე დროს ... სათათბიროში, რათა უკანასკნელს რევოლუციონური მოღვაწეობა გამოაშკარაონ და შემდეგ მთავრობას გაარეკინონ.

◆ **ლ. ლ. ტოლსტოის საქმე.** პეტერბურგის სასამართლოს პალატამ განიხილა საქმე სახელ-განთქმული მწერლის ლევ ტოლსტოის შვილის ლ. ტოლსტოისა, რომელსაც ბრალდებოდა თავისი მამის ორი ნაწერის გამოცემა. საქმის განხილვის დროს ტოლსტოიმ განაცხადა: ჩემი მამა მომიწოდა პატივისცემით შეემოკლებინა იმისი ნაწერების შემოკლებულად გამოცემა. მოსამართლეებმა, რომლებიც ... გაამართლეს ტოლსტოი და ამავე დროს ბრძანება გასცეს ლევ ტოლსტოის შემდეგი ნაწერების: „სად არის გასავალი?“ და „ნამდვილი ... არ არის, ჰუმანიტარიზმი“.

◆ **შეიარაღებული თავად-აზნაურობა.** რუსეთის გაზეთები იუწყებიან: ხმები, რომ ამ მოკლე ხანში მთავრობა გამოსცემს განკარგულებას, რომლის ძალით ... ექნება სარჯდლის შეტანას ... იარაღის ...

◆ **ლოძის ამბები.** ქ. ლოძში 4 მაისს მშრომელი ... ქუჩაში ... ერთი კაცი ... შტატის ... მოკლეს ერთი კაზაკი და ... მოკლეს ... 7 კაცი. შემდეგ კაზაკებს ... იქნა ...

მათის აზრით იმალებოდნენ მძარცველები, მოჰკლეს 8, მძიმედ დასჭრეს 10 და მსუბუქად 22 მუშა. ლოძის მცხოვრებლები თავზარდაცემულნი არიან.

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 მაისი

**პეტერბურგი.** ნიკოლოზის რკინის გზის შიმონის სადგურთან 6 მაისს ვიღაც უსახოვმა ქორწილი გადაიხადა. სტუმრებს დაუგვიანდათ და ღამეც იქ დარჩნენ. როცა ემინათ, უცნობებმა სახლს ცეცხლი წაუკიდეს. დაიღუპნენ ახლად ჯვარ დაწერილნი, სახლის პატრონის ძმები და რამდენიმე სტუმარი ქონება მძარცველებმა დაიტაცეს.

**ოდესა.** დამტკიცდა, რომ ყუმბარის გადაგდებაში მონაწილეობას იღებდა სამი, მათ შორის ერთი ქალი იყო. ყუმბარის აფეთქების შემდეგ ერთმა პოლიციელებს სროლა აუტეხა. პოლიციელებმა სროლითვე უპასუხეს და ერთი ახალგაზდა კაცი დასჭრეს, რომელიც გლეხი ჩერკოვი გამოდგა. მეორეც დაიჭირეს. ოთხი გარეშე მიმავალი მსუბუქად დაიჭრა. აფეთქების დროს დაჭრილი გარდაიცვალა. სამი კაცი დააპატიმრეს.

**რეველი.** დილით ადრე მამინის ქუჩაზე მოჰკლეს ცელიულოიდის ფაბრიკის ზედამხედველი მოლდენ ჰაუზორი. მიზეზად დათხოვნილ მუშათა შურის ძიებას ასახელებენ.

**ტირასპოლი.** ბენდერში პოლიციამ ს.-რევოლიუციონერების სტამბა აღმოაჩინა. 4 კაცი დაიჭირეს.

**მოსკოვი.** ლეფორტავში საერობო ექიმის ელიონსკის სახლში დაიჭირეს 22 კაცი, რომელნიც გლეხთა კავშირის კონფერენციაზე მოსულიყვნენ. დეპუტატი იზმაილოვი მოხსენების წაკითხვას აპირებდა თურმე. იზმაილოვი გაანთავისუფლეს. პოლიციის მოახლოვებაზე კონფერენციის წევრები ქაღალდების დახევას და დაწვას ლამობდნენ. დოკუმენტები აღადგინეს.

**პეტერბურგი.** საერო განათლების სამინისტროს წევრი პოზდნეევი გაიგზავნა ასტრახანის გუბერნიის და დონის ოლქის კალმიკების ადგილებში, რომ იქ კალმიკების სკოლებისთვის სახელმძღვანელო წიგნები შეადგინოს.

**ბელგრადი.** იუწყებიან, რომ ბოლგარებისა და სერბიელების რაზმებს შორის მაკედონიაში შეტაკება ხელ ახლა მოხდაო.

**ბუშირი.** ეფრატისა და ტიგროსის მიდამოებში მცხოვრები არაბები აჯანყდნენ. ხონთქრის მთავრობა მათ დასაწყნარებლად უღონოა.

**მაძერი.** დააპატიმრეს ჯარის კაცი—ჯაშუში, რომელსაც უცხოელებთან მიწერმოწერა ჰქონდია. იგი გამოტყდა და თანამოაზრენი დაასახელა.

**ეკატერინოსლავი.** ანარქისტმა, რომელიც ტროიცკის ქუჩაზე 18 საათი გარშემორტყმულ პოლიციელებს ებრძოდა, მოჰკლა და დასჭრა ხუთი კაცი. იგი მუშა აღმოჩნდა.

**სარატოვი.** ნიკოლაევკაში გასცარცვეს მკკლესია. ატკარის მაზრაში გაიტაცეს 3700 მანეთი.

**კრასნოიარსკი.** ზნამენსკის მონასტერს 15 შეიარაღებული კაცი დაეცა. დასჭრეს დარაჯი, ორი მორჩილი და მიიმალნენ, ფული და ძვირფასეულობა ხელ უხლებელია.

**დვინსკი.** ფაბრიკაში მოსამსახურის გურევიჩის სახლში აღმოაჩინეს ს.-რევოლიუნერების სტამბა. იპოვნეს რუსული და ებრაული შრიფტი, დასაბეჭდათ აწყობილი შრიფტი, პროკლამაცია «1 მაისი»-ს სათაურით. აუარებელი პროკლამაცია მშრომელთა და ჯარის-კაცთა მიმართ და შიფრი. ორი კაცი დააპატიმრეს.

**რიაზანი.** სასულიერო სემინარიაში არეულობაა. სემინარიის შენობაში პოლიცია შევიდა. მოსწავლეებმა ქუჩა ქუჩა დემონსტრატიულად გავლა დააპირეს, მაგრამ კაზაკებმა გაჰფანტეს.

**ზასლავლი.** ღამე მთელი სოფელი გადაიწვა. დაიღუპა ერთი ქალი და ორი ბავშვი.

**ვორონეჟი.** კალაჩაში 5 მაისს დააპატიმრეს 30 ს.-რევოლიუციონერი. ამათ კომიტეტის წევრობას და სარევოლიუციო წიგნაკების გავრცელებას აბრალებენ.

7 მაისს ვიღაცეები დააპატიმრეს. ამის გამო პოლიციისა და ხალხს შორის შეტაკება მოხდა. ბოქაულს ქვა თავში მოარტყეს. რამდენიმე გლეხი სასიკვდილოდ დაიჭრა. ტელეგრაფის მავთული გაწყვეტილია. მოვიდა გუბერნატორი კაზაკებითურთ.

**ოდესა.** იმ ეკკლესიასთან, სადაც ესვენა ყუმბარით მოკლული უბნის ზედამხედველი სარაკევიჩი, გაასვენეს ყუმარითვე მოკლული ბოქაული პანასიკი. ვიღამაც კუბოს უკან მიმავალ ხალხში ორჯერ გაისროლა. ყველანი შეშინდნენ. ქალებს გული შეუღონდათ. იქვე მიხლობლად, ეკატერინეს ქუჩაზე, სასტუმრო «ინგლისი»-ა. ეგონათ, ამ სასტუმროდან ისროლეს და რამდენიმე ახალგაზდამ სასტუმროს ტყვია დაუშინა. არავინ არ დაშავებულა. ახლო მახლო მაღაზიები დაკეტეს. მთელ უბანს ჯარი შემოარტყეს და ჩხრეკა-დაპატიმრებას შეუდგნენ.

**ჩერნიგოვი.** ქალაქის მახლობლად თავს დაეცნენ იარმუკაზე მიმავალ სამ ებრაელს. ორი მოჰკლეს, მესამე მძიმედ დასჭრეს, ბკვლელნი მიიმალნენ.

**ლონდონი.** «სტანდარტ»-ს აუწყებენ ლენაუდან (ინდოეთი), რომ იქ დაბანაკებული ინდოეთიდან შემდგარი პოლკი დაითხოვეს, რადგან არეულობა უმბალას ტომსაც მოედოო.

**ტიანძინი.** დამოუნაში იპოვნეს 8000 თოფი და 300.000 პატრონა, რომელიც სარევოლიუციო აზრით შემოჰქონდათ.

**პეტერბურგი.** სრულიად რუსეთის ოქტომბრისტთა კრებამ მიიღო ორი დადგენილება. ერთი შეეხება ლოთობას, როგორც საზოგადო ბოროტებას ამის წინააღმდეგ ბრძოლა პარტიის პროგრამაში უნდა შეიტანონ. მეორე დადგენილებით, უნდა დაავალონ ფრაქციის დეპუტატებს, დაიცვან სათათბირო, განსაკუთრებით უკიდურეს მემარცხენეთა არა კონსტიტუციონურ ტაქტიკისაგან. ასეთი ტაქტიკა მათ გამოიჩინეს 7 მაისის სხდომის დასაწყისში, როცა დემონსტრატიულად სხდომას არ დაესწრენო.

**ჰელსინგფორსი.** სეიმის დეპუტატთა ქალთაგან 9 ს.-დემოკრატია, 6—სტარო-ფინომანი, 2—შვედომანი, თითო—აგრარული სოციალისტი და საგლეხო კავშირის წევრი.

**ჰამბურგი.** ალტონაში შეიკრიბა 500-მდე შეკავშირებული მეზღვაური. ერთხმად დაადგინეს: გამოაცხადონ დაუყონებლივ გაფიცვა. გაიფიცებიან ბაქანის და მაშინის მოსამსახურენი გემებისა, გარდა თევზის მჭერელ და მებუქსირე გემებისა.

10 მაისი

**ლონდონი.** ლონდონში მომხდარ რუს ს.-დემოკრატების კრების შესახებ «დეილი-ნიუსი» შემდეგს სწერს: «თუმცა რუსები სცდილობდნენ დრო შეეწირათ დინჯ საქმიანობისათვის, მაგრამ ისინი ვერ ასცდნენ ხელის შეშლას ხულიგანთაგან, რომელნიც იმ სახლის მეზობლად სცხოვრობენ, სადაც რუს ს.-დემოკრატებმა კონფერენცია გამართეს. დროა პროტესტი გამოეცხადოს იმ საზიზღარ სცენებს, რომელიც ხდება ღამ-ღამობით ს.-დემოკრატების კრების უბანში, მიუხედავად იმისა, რომ იქ პოლიციელებიც საკმაოდ არიან. ამაზე ალბად იქით კვირას პარლამენტშიაც იქმნება შეტანილი შეკითხვა რანდაემ კრებებისაგან.

**ნიუ-იორკი.** მეფაბრიკეთა კავშირის წლიურ კრებაზე აირჩიეს კომისია, რომელსაც დაევალა იშოვოს როგორმე მილიონ ნახევარი დოლლარი ტრედ-იუნონებთან საბრძოლველად მომავალ სამი წლის განმავლობაში.

**ჟიტომირი.** მოსკოვის ქუჩაზე ღამე სახლი გასჩხრიკეს, სადაც სცხოვრობდნენ დავით ოკსი, შენდელ გერშნერი და გერშა რაბინოვიჩი. ამათ წინააღმდეგობა გასწიეს. სროლის დროს დაიჭრა 4 პოლიციელი, ერთი მძიმედ, და ორი ჟანდარმი, გერშნერი მოჰკლეს, რაბინოვიჩი დასჭრეს და დააპატიმრეს, ოკსი მიიმალა. სახლში იპოვნეს ოთხი პატრუქიანი ყუმბარა, რამდენიმე რევოლვერი და არა ლეგალური ლიტერატურა. გამოძიება სწარმოებს.

**ლიბავა.** 8 მაისს ფოსტის ქუჩაზე მოჰკლეს საპატიმროს უფროსის თანაშემწე.

რედაქტორ-გამომცემელი **ივ. ი. მჭედლიშვილი.**


# განცხადებანი

## მხოლოდ 1 მ. 50 კ. ვყიდი

და **თითქმის მუქთად ვაძლევ!!!**

ძალზე საინტერესოა! ვუგზავნი მსურველს ფას-დადებით ბაჟის გასტუმრებით და გამოგზავნით ჟუბეოდ იმ წამსვე, რა წამსაც წერილს მივიღებთ, 10 ცალს იუმორიულ ფოტოგრაფიულ სურათს, მეტად საგულისხმო (პიკანტნი) შინაარსისა. 10 ცალის ფასი 1 მ. 50 კ. 20 ცალი—2 მ. 80 კ. ადრესი Y. Kaliski, Bruxelles rue de l'escalienr, 30. Бельгія.

ვინც ნარდად ბლომად იყიდის, 10%-ს დაუკლებთ. მიწერ მოწერა რუსულს ან გერმანულს ენაზე.

(10—№ 16—6) (Метцль и Kº № 15603)

**ახალი წიგნი**

„ჭეშმარიტი სოციალისტი და ჩვენებური სოციალდემოკრატია“ ტ. ართმელაძისა, ფასი 10 კაპ.

იყიდება ამავე ავტორის შემდეგი წიგნები:

„სადღეისო საუბარი სოფლელ მკითხველებს“ . . . . . . . 20 კ.

„მეთაურთა უმეტესობის უთაურობა და ჩვენებურ მებრძოლ ხალხის პირველი დამარცხება“ . . . . 10 კ.

„ბრძოლა ჩვენებურ პრესასა და საზოგადოებაში შეპარულ ნაკლულევანებასთან“ . . . . . . 35 კ.

„წერილი სოფლელ მუშას“ . . . 5 კ.

„სადღეისო წერილი ქართველ სოფლელებს. . . . . . . . 5 კ.

მისამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“ სოსიკო მერკვილაძეს. (7—72—4)

**ტფილისის ქალაქის**

## გამგეობა

აცხადებს, რომ იგი ქირით აძლევს ბორჯომში მებლით მორთულ ორ-სართულიან აბესალომოვისებურ სახლს, რომელიც დღეს ქალაქ ტფილისს ეკუთვნის. სახლი შეიცავს ოთხ ოთახს ზემოთა სართული და ხუთ ოთახს ქვემოთა თავის სამზარეულოებით და სხვა მოწყობილობებით. პირობების გაგება შეიძლება გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, უქმე დღეებს გარდა, 11-დან 2 საათამდე. (3—6.—2)

საჭიროა უცხოელ კაპიტალისტებისთვის **მარგანეცის**, სპილენძის, კობალტის და ანტიმონის მადნიანი ადგილები, აგრეთვე სხვა ლითონიანი ადგილები და დიდი მუხის ტყეები. მადნებისა და ტყეების პატრონებმა წერილობით უნდა მიმართონ ამ ადრესით:

Тифлисъ, Почтамтъ, почтовый ящикъ № 41. (3—79—2)



1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.

## საჭიროა

**თანამშრომელნი ორისავე სქესისა**

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ, д. 15, и 5. (100—71—7)

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**ექიმები:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ლ. ა. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. აჯემიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**კ. ა. გელდიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. ბ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ა. შერნინა:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ა. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი** (150—ხალ.—71)

## შემთხვევით

მალიან იაფათ

## იყიდება

სხვა და სხვა ფორმის ძეგლები და სასაფლაოს ქვები. ჩვეულებრივზე 50% ნაკლებად. სახელოსნო ს. რიჩჩისა, მიხაილოვის ქუჩა, ს ხლი № 127. (10—ხალ.—10)

# ფეხსაცმელი

პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,



შეკერილი, რანტიანი და ვინტებზე. მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი ყოველ ფასონისა.

**რანტიანი:** პარიზისა (მოგრძო) და ამერიკის ფასონებისა.

**იყიდება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის მაღაზიებში.**

რადგან ხშირად სხვები თავიანთ ცუდ საქონელს ჩვენად აღიარებენ, ფაბრიკა უმორჩილესად სთხოვს ბ-ნთ მყიდველებს ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და სახელმწიფო გერბს (არწივს)

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО С.ПЕТЕРБУРГЪ

ნარდად შეკვეთილ ამ ფეხსაცმელს ამზადებს

**სავაჭრო სახლი**

## „ლეოპოლდ ნეიშელლერი“

ტელეფონი № 346, **ტფილისში,** ერევნის მოედანი,

**რომლის საწყობშიაც არის დიდი ძალი**

**ტყავის საქონელი** რუსეთისა და საზღვარ-გარედ დამზადებული. (100—24)


სტამბა „იდეალი“ (მ. ღ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.